№ 97
ოთხშაბათი, 8 მაისი 1896

1877—1896

№ 97
ოთხშაბათი, 8 მაისი 1896

ივერია

ბაზეთი ლირს:

თვ.	მან.	კ.	თვ.	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომ. 7 კ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ უამბლობისა გამო გადდო 19 მაისისათვის.

ვისაც ჭსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში), და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

წლიური კრება

ქართველთა ზოგის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა დანიშნული 4 მაისს ამა წლისა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 12 მაისისათვის საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნიურო ბანკის სადგომში.

განსახილველნი არიან:

1, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდამ 1994 წ. 1 ივნვრამდე 1896 წ.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1896 წლისათვის.

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (6—2)

ფელეტონი

პირველი შხამი.

(სურათი)

(დასასრული *)

IV

თინათინის გულის ძგერა რომ ისე საამო არ ყოფილიყო, უეჭველად გონებას დაჭკარგავდა, რადგანაც სუნთქვა მეტად გახშირებული ჰქონდა, როცა ეზოში შედიოდა.

იმას უნდოდა ისე შეპარულიყო, რომ დედას ვერ გაეგო; ამის გამო „სადღესასწაულო კარებთან“ არ მივიდა, ზარი არ დარეკა, როგორც ყოველთვის. არამედ ეზოს კარებიდამ მოუარა, გვერდით გაუარა სამზარეულოს, რომლიდამაც დანების რაკა-რუკი მოისმოდა და მოსამსახურე დედა-კაცის ოთახში შევიდა. ოთახში არავინ იყო.

—უფრო კარგი—გაიფიქრა თინათინმა—ის რომ აქ იყოს—მაშინვე გამასწორობდა და ჩემს მოსვლას დედას ახარებდაო.

ამ ფიქრით იგი ტალანში გავიდა, ჩუმ-ჩუმად შეაღო კარები და ფეხაკრეფით სასადილო ოთახში შეიარა. მარჯვენივ კარებს სასტუმროში მიჰყავდა და პირდაპირ-კი დედის საწოლი იყო.

ოთახებში არაფრის ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ყველა კუთხეში დაურღვეველი მყუდრობა გამეფებულიყო, რომელსაც რაღაც დამფიქრებელი გამომეტყველება ჰქონდა.

მხოლოდ ახლა თინათინის სუნთქვამ და გულის დგარა-დგურმა—სიცოცხლე შეიტანა ამ სიჩუმეში და ოდნავ გაჰფანტა იგი.

ფეხის წვერებზე შემდგარმა თინათინმა, თითქოს ეშიოდაეს ეპარებოო რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ჭურდულად სასტუმროში შეიხედა. არავინ იყო; ფარდები არც-კი აეკეცათ, რის გამოც ოთახი იდუმალ ბინდბუნდს მოეცვა. მხოლოდ ხან-და-ხან ფანჯარაზ ადგებოდა მზისაგან გამონარტყოცი მოელვარე სხივი, რომელიც, სავსებით ვერ ჭვმირავდა სქელ კისეის ფანჯრებს და მხოლოდ ბუნდოვან ლამპარსავით იოდნავ აშუქებდა ფანჯარის წინ იატაკს და, ამის გამო გაგულისებული, ისევ მზეს უბრუნდებოდა.

— საწოლ ოთახში იქნება, გაიფიქრა ქალმა, და გულზე ხელი დაიდო, თითქოს ეშინოდა ბუდიდგან არ ამომიფრინდესო.—ნეტავი რას აკეთებს? ნუთუ... და თინათინმა კარებისაკენ გასწია.

საწოლ ოთახის კარებს შუშის ფანჯრები უჯდა, რომლებზედაც ფარდები იყო ჩამოფარებული.

— ხომ არ სძინავს? ან იქნება წამოწოლილია და ჩემზე ფიქრობს? მაშ ვიღაზე იფიქრებს? განა თითონ არ მეუბნება ხოლმე—„შვილო, მე შენთან განუშორებელი ვარ... ჩემი ფიქრი ისეა დახელოვნებული, რომ როცა-კი მოვისურვებ,—ყოველთვის ცოცხლად განგახორციელებს“... ვინაცაღლე... მე დარწმუნებული ვარ. განა უსიტყვოდ-კი არა ვხედავ ამას?

ეს ფიქრები ნაწყვეტ-ნაწყვეტად ელვასებრ უფლიდა თინათინს თავში და გამოუთქმელის ნეტარებით ათრთოლებდა მთელ მისს სხეულს, როგორათაც მცირე ნიავი-ზღვის ანკარა ზედა პირს...

ქალი ნიავსავით მიუახლოვდა კარებს. ფარდები ჩამოფარებული იყო, ოთახში არაფერი იხედებოდა. მაგრამ ამ დროს თინათინმა თვალი მოჰკრა, რომ ერთ-ერთ შუშას ფარდის კუთხე გადახდოდა და ის იყო უნდა შეეტეკირა ოთახში,—როდესაც კარებს იქით მოისმა აგზნებული კოცნის ხმა.

თინათინი შეკრთა,—მხოლოდ მაშინვე სახეზე ნათელი გადაეკრა და ტუჩები უმანკო ღიმილმა გაუპო.

— ალბათ ჩემს სურათს ეალერსება...იქვე საწოლთან უდგას...და ცნობა განცხოველებულმა ქალმა ოთახში შეიხედა.

ალბათ ოთახში საზარელი რამ ჰხდებოდა, რადგანაც თინათინი სწრაფად მოტრაღალდა და სასო-მახდილი იქვე კარებს მიეყუდა.

საშინელი გამომეტყველება ჰქონდა იმისს სახეს, რომელიც მთლად გაჰფითრებოდა და ტკივილისაგან ბნედა-დაცემულსავით ეპრანქუბოდა.

ორივე ხელები თმაში ჩაევლო, წელში მოხრილიყო და დაყვირებას ლამოდა, მაგრამ პირში ნერწყო ადარა ჰქონდა, ენა სასას მიჰკვროდა და გაფიცხებული ტუჩები ერთი მეორეს სასიკვდილოდ ჩასწებებოდა. თვალებიდამ გამონაკოფობი ელვის მსგავსი შუქი საბრალო ქალს ვიეის ეერსა სდებდა; მთელი ტანი ისე უთამთამხებდა, როგორათაც გაციებ-გაცხელებულ ადამიანს.

რამდენიმე წუთი იყო ასეთს მდგომარეობაში, ვერც აქეთ, ვერც იქით ნაბიჯი ვერ გადაედგა, თითქოს მისს მოძრაობას მეხის დაცემა მოსდევდა.

მაგრამ ამ დროს კვლავ გამეორდა კოცნა, რომელმაც თინათინს საფეთქელში ჩაქეჩსავით ჩაჰკრა.

— აახ... ისე ამოიგმინა თინათინმა, გეგონებოდათ გულიც თან ამოატანაო და მოჭრილ ხესავით იქვე კარების სიახლოვეს გადაიქცა.

ოთახში ფეხის ხმა მოისმა; გაიღო კარები, რომლის დირეზედ გამოჩნდა ერთი ახალგაზდა დედაკაცი პერანგის ამარა.

მშვენიერი რამ იყო ეს ქალი. მოულოდნელ გმინვას—იგი თუმცა შეეკრთო, მაგრამ მაინც სავსებით ვერ გამოერკვია იმ საოცნებო მდგომარეობიდგან, რომელშიაც აქამომდე იმყოფებოდა.

სახე ისე მიჰბნედოდა, როგორათაც მთვარეს, განთიადის მოლოდინში; თვალებში ჯერ კიდევ არ გაჰჭრებოდა ვნებათა ღელვის ნაპერწკალი და მთელ მის სხეულს ეტყობოდა რაღაც მოქანცულობა, ტკბილ ვნებათაგან გამოწვეული.

შავი და ხშირი თმა მძიმე ტვირთად დასდებოდა სპილოს ძვალსავით სპეტაკ გულ-მკერდს, რომელზედაც აქა-იქ დაქაქაქულ მოლურჯო ნერვების ფეთქა ნათლად ირკვეოდა.

— თინათინ, თინათინ!—სასოწარკვეთილებით შეჰკივლა ამ ქალმა, რა დაინახა თავისს პაწია ფეხთა წინაშე მოლეშილი თინათინი და თითონაც უეჭველად გადაიქცეოდა, რომ იქვე ოთახში მყოფი ყმაწვილი კაცი არ მოჰშველებოდა და გულზე არ მიეყრდნო.

— ღმერთო ჩემო, თქვენი ქალი! რა მოულოდნელი ამბავია!.. წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა ისე, უეზროდ, უნმიშვნელოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა რამ, რადგანაც წამი მართლა რომ შესანიშნავი იყო.

მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებდა.

— თინათინ, თინათინ!.. ქვითინებდა საბრალო ქალი; მხოლოდ თინათინს ეს ჩამოძახილი დედისა არ ესმოდა.

და უფრო დიდი ბედნიერება იქმნებოდა, რომ სამუდამოდ აღარა გაეგო.რა... სულ ერთია, ის მაინც მკვდარი იყო... მან იგემა დღეს ბედნიერებაცა და შხამიც ცხოვრებისა და რაღაცა უნდოდა სიცოცხლე? იქნება იმიტომ, რომ ეს შხამი პირველი და უკანასკნელი არა ყოფილიყო?!

ი. ელეფთერიძე.

15 აპრილი, 1896 წ.
ქ. ტფილისი.

*) იხ. «ივერია» № 96.

*** სად. გრაკალის ხიდის დაზიანებისა გამო მატარებლების მიმოსვლა შეიცვალა. 7 მაისიდამ მხოლოდ ღილით წავა სახალხო მატარებელი ბათუმისაკენ, ვიდრე დაზიანებული ადგილი არ გაკეთდება. ამ ჟამად სახალხო მატარებლით მიმავალი მგზავრები სად. გრაკალთან უნდა ერთის მატარებლიდამ მეორეში გადასხდნენ.

*** ამ ჟამად მტკვარმა ერთ საკენამდე დაიკლო. ეს მეორე დღეა კარგი ამინდია, წვიმა არ ყოფილა.

*** ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება ფრანგი ინჟენერი დეფოსი, ბრიენ-დე-ლილი და ფლურანსი. ამათ თან მოიტანეს პროექტი ზღვის არხისა, რომელმაც უნდა შეაერთოს ბალტიის ზღვა შავს ზღვასთან. ამ პროექტით არხი დაიწყება რიგაში და გათავდება ხერონში. იგი სუეცის არხის ოდენა იქმნება ე. ი. $8^1/_2$ მეტრი (4 საჟენი) სიღრმე ექმნება და 35 მეტრი (17 საჟ.) სიგანე. ამ არხის გაყვანას მოუნდება 500 მილიონი ფრანკი (200 მილ. მანეთი). საქმის დამწყებთ თურმე ეს ფული უკვე მოკრებილი აქვთ. (ნ. ვ.)

*** ამბობენ, რომ ამ ცოტა ხანში განიხილავენ საამხედრო მინისტრის წინადადებას, რომელითაც გენერლებს, [illegible] პროფესსორებს და ექიმებს, რომელთაც აქვთ 4 კლასსის ხარისხი, შეეძლებათ რკინის გზის 2 კლასის ბი-

ლეთით იარონ 1 კლასში. (ნ. ვ.)

*** ტარიფთა კრებულში გამოცხადებულია ახალი ტარიფი ნავთისა და ნავთის სხვა და სხვა საქონელის გადაზიდვის შესახებ.

*** ფოთი: 1 მაისს ჩვეულებრივად ბურთობა იყო გამართული ფოთში. ბურთობას დიდძალი ხალხი ეტანებოდა მუდამ, მაგრამ რაც დღე მიდის, ძველებური დროს გატარება სულ უფრო და უფრო სუსტდება; ჩვენშიკი წლევანდელმა წელმა ყველაფერს თავისი ნიშანი დაასვა. სასურველი არ არის, რომ ეს ჩინებული თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ძველებური ჩვენთა მამა-პაპათა დროს გატარება გადავგდოთ. ამგვარი საერო თამაშობა, როგორც ბურთობა და სხვა, გარდა იმისა, რომ ჩვენ ფიზიკურად გავაჯანსაღებს, რომელსაც ევროპაში უპირველესი ადგილი უჭირავს. ეტვი არ არის, მეტს ჯანმრთელობასა და სულის სიფხიზლესაც მოგვცემს.

ბურთი გავარდა 4 საათზედ. ერთმ, მეუბ გურულებმა მკვირცხლად შეუტიეს, მაგრამ მოგებისენებთ „ძალა აღმართს ხნავს“-ო, მეგრელებმა ბურთი ლელოზედ მიიტანეს. მაინც ბოლოს გამარჯვება გურულებს დარჩათ.

*** გამოვიდა მე-IV № ეურნალ „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით: I „ჩიტი, ლექსი“—ბარბარე ჯორჯაძისა II „ფითრი, მოთხრობა“—თ. რაზიკაშვილისა III „მგელი, ლექსი“—დ. ნინოწმინდელისა IV «ღვთიური ნართი, (ლეგენდა ფრანგულიდან)»—ელიკოსი V „საკვირველი ამბები (ფრანგულიდან)“,—დ.—ისა VI „გაფოცავა ლექსი (ძილლერიდან)“,—გრ. აბაშიძისა VII „უცნაური სალამური“ (ფრანგული ზღაპარი ა. დიუმასი, ინგლისურიდან), —ინგლისელი ქალისა VIII „მუსიაფი“ (ამერიკელ მწერლის რობერტ ჯონს ბერდეტტიდან),—პართენ გოთუასი IX „სხვა-და-სხვა ნაირი ქარი ქვეყანაზე“ (რუბაკინიდან): —თ. მთავრიშვილისა X „ბაყაყები“ XI «ლეკსოს ნაპოვარი» XII „სამაგიერო“ (იგავი) ალ. მ—შვილისა XIII „მშვიდობის მოყვარეობა“,—თ. კანდელაკისა XIV „ვინო“ XV „ნინას ქველ-მოქმედება XVI „წვრილმანი“.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲥᲘ, (ᲯᲘᲯᲘᲨᲘᲝ), 25 აპრილს. დასასელთ სჰქრთველოსა და ბორის მზრაზე წყალ-დედობისაგან დაზარალებულთა მიმართ აქ მცხოვრებ ქართველთა პატარა წრეშიაც აღძრა გულმტკივნეულობა და სურვილი შეწეობისა.

შეტრე ნიკოლოზის თოხსნობით 21 აპრილს სტენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნა ცხვრელის კომედია: „რაც გინახავს, ეკვირ ნახავ“.

თუ არა ვეფხვნით ჯიჯინთის არსებობიდამ ეს პიესა წარმოდგენას აქ ქართველს ენაზე და არცა გეკონდა იმედი დიდის შემოსავლისა, რადგან ქალაქის მცხოვრენი თითქმის სულ სომხობასა, რომელთაც ქართველი არ იცან; მაგრამ ამისა, იმდენი ხალხი მოაწყდა თეატრს, რომ ადგილი ადარ იშოვეთნდა და სკამს ეეშტებდით, სადაც-კი პატარა თავისუფალი ადგილი იყო. ბევრნი სოფ. ბარანეთი დამაც ეკიდოდენ.

დიდის მადლობის ღირსია სომხის ახალგაზრდობა, სტენის მოყვარენი, რომელთაც არ დაეშურეს შრომა და შეუნაირად წარმოადგინეს სომხური ენაზე „ზაკალდოვანი პრინც“. ქართველმა წარმოდგენამაც საუცხოოდ ჩაიარა, თუმცა მოთამაშენი თითქმის ყველანი პირველად გამოდიან სტენაზე.

ვინც ქართველი ენა არ იცოდა, ისინაც კი ძალიერ კმაყოფილი დარჩნენ წარმოდგენით.

სრული მომადენი კარი ჩვენი სტენის მოყვარე ქართველი ახალგაზრდობა, ამ პირველ გამარჯვებით წაქეზებული, კვლავაც გამართავს წარმოდგენებს.

ანტრაქტებში წაკითხული იყო სტენები. წარმოდგენა დეკემბერით გათავდა.

შემოსავალი, როგორც ისმის, 170 მანეთამდე იყო და მგონი ხარჯის გარდა 120 მან. დარჩენილა, რაც და ნაშენელებისამერ გარდაეცემა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ილ. ალხაზიშვილი.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲗᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

27 აპრილი.

თ. ალ. ᲯᲘᲯᲘᲨᲘᲫ. აი, ეს არის სულ, რაც შენიშნა მინისტრმა და აღნიშნ. წესდების დარღვევად. თქვენ თვითონ ხედავთ, ბატონებო, რომ არც ერთი ამ მუხლთაგანი არ გვითითებს იმ, ვითომ-და, წესდების დარღვევასა და აღსრულებლობაზე, რომელიც აღნიშნულია მოხსენებაში თ. ივ. გ. მაჩაბელისა. აქედამ იმ დასკვნამდის მივდივარ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თავ. ივ. გ. მაჩაბელს თავისი მოსაზრებანი „შეურაყველთი“ პოლია, —ამის მიერ აღნიშნულთ წესდების, ვითომ-და, დარღვევათ და აღსრულებლობათ ვერ მიიქციეს სამინისტროს ყურადღება; და ეს-კი საყურადღებოა, მითი რომ, რადგანაც სამინისტრომ, როგორც წესდების დარღვევას, გამგეობის ყურადღება მიაქცია, სხვათა შორის მას, რომ გადასწერ ქალაღლებს ხელს არ აწერთ, რომ ქალაღლები აღნუსხულნი არ არიან, რომ ორხივი არ მოიძეკვა ბანკშია,—ის გარემოება არ დაავიწყებოდა ეთქვა, მაგალითად, რომ გირავნობის ფურცლების ხელად მიუცემლობა მსესხებელისათვის წესდების დარღვევას შეადგენსო. ამაზე მივაქცევ თქვენს განსაკუთრებულს ყურადღებას იმისათვის, რომ რევიზორის მოხსენებაში ეს განკარგულება გამგეობისა განსაკუთრებით არის აღნიშნული: რევიზორი ამ განკარგულებას უკანონოდა სთვლის და სასარგებლოდ მიაჩნია ამ საგნის შესახებ ბანკს მიეცეს საქონო განმარტება. ჩვენ რომ მსესხებელთ არ ვაძლევთ ხელად გირავნობის ფურცლებს, ამ საგანზე თ. მაჩაბელმა, გარდა თავისის მოხსენებისა, შეაწუხა ყველა და ყოველი, რადგანაც ეს გარემოება თავის აზნაგთა შესახებ უმთავარეს მუხლად ბრალდებისა აღიარა. რასაკვირველია, თ. ივ. მაჩაბელმა არ დაჰკარგა შემოხვევა თავი გაემართლებინა სამინისტროს ქალაღლის მეშვიდე მუხლის შესახებ, სადაც ‚აღნიშნულია, რომ მაშველნი წიგნები უწესოდ (небережно) შემდგარნი არიანო, ქალაღლები არ აღუნუსხავთ და გადასაწერს საპუთებზე ხელი არ მოუწერიათო, მაგრამ რით დაადგარგვინებს ეს თავის მართლებას—ეს მისი საქმეა. ამ მხოლოდ ვიტყვი, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული წესის ფორმალურად დარღვევაა და არა არსებითად, რადგანაც, რაც ანგარიშთა აღრიცხვას შეეხება, რევიზორის მოხსენება გვისაბუთებს, რომ უმთავრესნი წიგნები ბუღალტერისა სწორნი არიან, სავსებით და სიმართლით ხსნიან ბანკის მოქმედებასა და მისს ოპერაციებს და აი ეს არის საპირო ანგარიშის წარმოებისათვის. დანარჩენი წიგნები კი ბუღალტერის საქმის გასაადვილებლად არის მოგონილი. გვირჩევენ, რომ ანგარიშის წარმოება იმ წესით შემოვიღოთ, რა წესითაც ყველა სხვა გრძელ ვადიან სესხის გამცემ დაწესებულებათ აქვთ შემოღებული. ჩვენ აღვასრულებთ ამას შეძლებისა-და გვარად, მაგრამ ერთს გარემოებას მოგაგონებთ: ერთს საკრედიტო დაწესებულებას მთავრობამ რევიზია მოუხდინა, ნახა ჩინებული საქმის წარმოება, ჩინებული ანგარიშის წარმოება, მაგრამ ფული-კი, თითქმის ერთი გროშიც არ აღმოჩნდა (სიცილი), და ჩვენ საქმის წარმოებაშიაკა გვაქვს ნაკლი, უწესოთაც არიან შემდგარნი საშველნი წიგნები ანგარიშის წარმოების შემახებელნი, მაგრამ რაც საპიროა—ნაღდად გვაქვს და ამას რევიზორის მოხსენებაც ამტკიცებს. მაგრამ, ბატონებო, ეს, რასაკვირველია, მაინც არ გვაძლევს ნებას საქმეების წესიერად წარმოებას გვერდი ავუაროთ, მეტად ჩავთვალოთ. ამაზედაც უნდა ვიზრუნოთ. ყოველს ექვს გარეშეა, რომ ჩვენის საქმისა და ანგარიშის წარმოებას ეტყობა ფორმალური შეცდომები; მაგრამ, ამა, გვიჩვენეთ ისეთი დაწესებულება, სადაც ეს არ იყოს. ჩვენ ბევრი სამუშავო გვაქვს,—იმას არ ვიტყვი, რომ გგქონდეს ისეთი სამუშავო, რომელსაც ვერ მოვერიოთ, მაგრამ რთულია და თავის სატეხი. რომ გავაუმჯობესოთ საქმისა და ანგარიშის წარმოება—საპიროა ღღეკვანდელზედ მომეტებული მუშა ხელი,ესე იგი, ის, რაც აღნიშნა რევიზორმა და რასაც ჩვენვე გეუბნებოდით წინად.

დასასრულ სამინისტრო გვეუბნება:

1) Означенный отчетъ представить на обсужденіе общаго собранія членовъ тифлисскаго дворянскаго земельнаго банка, которое должно быть созвано въ самомъ непродолжительномъ по возможности времени.

2) Всѣ остающіяся нынѣ въ вѣдѣніи банка свыше уставнаго срока недвижимыя имущества продать въ теченіе полугода со дня полученія правленіемъ настоящаго предложенія.

3) принять надлежащія мѣры къ упорядоченію оцѣнокъ какъ земельныхъ, такъ, главнымъ образомъ, городскихъ недвижимыхъ имуществъ, капитализируя чистый доходъ первыхъ не менѣе какъ изъ 7%, чистый-же доходъ по городскимъ имуществамъ выводить на основаніи точныхъ данныхъ о дѣйствительной доходности имущества, скидывая изъ таковой для опредѣленія чистаго дохода, сверхъ суммы, потребной на уплату повинностей, во всякомъ случаѣ, не менѣе 30% на расходы по содержанію въ исправности имущества и простой квартиръ—по каменнымъ строеніямъ, и по деревяннымъ—не менѣе 40% валоваго дохода, и затѣмъ уже доходъ этотъ исчислять согласно § 11 оцѣночной инструкціи, а равно не допускать на будущее время всѣхъ вышеуказанныхъ по этому предмету отступленій отъ установа и отступленій отъ правилъ, установленныхъ министерствомъ финансовъ для контроля по выпуску закладныхъ листовъ.

4) Озаботиться привиденіемъ въ порядокъ счетоводства и дѣлопроизводства банка, по образцу, принятому во всѣхъ учрежденіяхъ долгосрочнаго кредита.

и 5) Немедленно вслѣдъ за переходомъ въ собственность банка имѣній, оставшихся непроданными на вторичныхъ торгахъ, совершать на эти имѣнія подлежащіе крѣпостные акты.

О мѣрахъ, которыя будутъ приняты правленіемъ къ исполненію настоящаго предложенія и о результатѣ обсужденія общимъ собраніемъ отчета ревизора предлагается донести министерству финансовъ.

პირველი ამ მუხლთაგანი ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვასრულოთ მითი, რომ, თანახმად 82 § წესდებისა რევიზორის მოხსენების შესახებ, ჯერ გამგეობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და შემდეგ ზედამხედველმა კომიტეტმა; როდესაც ეს ორი ორგანო ბანკისა თავისს აზრს გამოსთქვამს, მაშინ რევიზორის მოხსენება ამ აზრებთან ერთად უნდა კრებას წარედგინოს განსასჯელად. რომ წესდება არ დავარღვიოთ საპიროა ეს რიგი დავიცათ. რადგანაც მინისტრის ქალაღლი ჩვენ 16 აპრილს მივიღეთ და საზოგადო კრება-კი 20-თვის იყო მოწვეული,—თქვენც მიხვდებით, რომ ასე მოკლე დროში არ შეგვეძლო აღსრულება ამ წესისა. გარდა ამისა იმ საგანთა რიცხვში, რომელნიც ამ კრებამ უნდა განიხილოს, არ არის გამოცხადებული განსჯა რევიზორის მოხსენებისა და, მაშასადამე, ამ კრებას იგი უნდა მოხსენდეს მხოლოდ სახეში მისაღებად და არა რომელისამე განაჩენის დასადგენად. ზედამხედველი კომიტეტი თავის დროზე, თანახმად 82 § წესდებისა, განკარგულებას მოახდენს და მოიწვევს საგანგებო კრებას.

მეორე, მეოთხე და მეხუთე მუხლები ვალდებულნი ვართ აღვასრულოთ დაუყოვნებლად და განუსჯელად. მესამე მუხლის შესახებ-კი ამას ვერ ვიტყვით. ეს მუხლი ვგრძნობ მიველოთ საპირო ზომები, როგორც მიწების, ეგრეთვე უმთავრესად ქალაქის მამულების დაფასებათა გაუმჯობესობის შესახებ. უნდა გავაუმჯობესოთ, მაგრამ როგორ? ამას განსაკუთრებით განვიხილავთ, როდესაც საქმე დამფასებელთა ინსტრუქციაზე მივარდება, რადგანაც ხსენებულის ინსტრუქციის განხილვა აღნიშნულია ამ საზოგადო კრების განსასჯელ სა განთა შორის. სამინისტრო გვეუბნება მამულების ფმიდა შემოსავალი აღრიცხოთ 7%-ის კვალობაზე (капитализировать) და ქალაქის მამულების მთელის შემოსავლის აღრიცხვას ჩამოვაკლოთ 30 და 40% მამულის რიგიანად შესანახავად და სადგომთა გასაუმჯობესებლად. ჩვენი წესდება, რომელიც ნება დართულია, ვისგანაც ჯერ არს, თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოის განაჩენისა, (44 §) ამბობს, რომ ინსტრუქციის შედგენისა უფლება ეკუთვნის ზედამხედველ კომიტეტს ისე-კი, რომ მხოლოდ თქვენ მიერ იქმნეს დამტკიცებული და არავის სხვისაგან. მაშასადამე, განსაზღვრა ამა, თუ იმ % მამულების შემოსავლის კვალობაზე და აგრეთვე განსაზღვრა % ქალაქის მამულების რიგიანად შესანახავად და სადგომთა გასაუმჯობესებლად სავსებით გეკუთვნისთ თქვენ, ესე იგი საზოგადო კრებას, რადგანაც ეს შეადგენს არსებითსა და უმთავრეს საფუძველს დასადგენად მამულის საღირალისა, გირჩევთ ამ საზღვრებთ შორის ცენოთ თავი თქვენი უძლეველ, სანამდის ამ უფლებას, უფლებას ინსტრუქციის შედგენისას და დამტკიცებისას თქვენი საზოგადო კრება არ იქნება მოკლებული იმ წესითვე, რა წესითაც იგი თქვენ მონიჭებულ ალ. ... ...

რომელიც თქვენ მიერ აღრჩეულია ამ საზოგადო კრების თავმჯდომარედ, საჭიროდ სცნო, თუმცა თავმჯდომარედ აღრჩევამდის-კი, ეთქვა, რომ საჭირო იქნება ჩვენი სამართალში მიცემაც-კი, ან კრებისა და ან სასამართლოს წინაშე პასუხის საგებად. დიაღ, ბატონებო, თ. ნ. ორბელიანმა და მისმა აღმატებულებამ დ. ი. მუსხელიანშვილმა ბეჭდვითის სიტყვით თავის ხელის მოწერით, გამოაცხადეს, რომ ჩვენის ბანკის გამგეობის მოქმედება ბიწიერია. ეს ხმა, ეს ცნობა შამოირბენს მთელს ქვეყანას, მიაღწევს ბირკამდისინ, რომელიც ფრთხილია, ყურ-მახვილი და ადვილად ამყოლი ყოველის ამგვარად მოუფიქრებლად წარმოშობილის ხმებისა და შეიძლება ძალიან დიდხანს მოგვინდეს ბრძოლა აღსადგენად პატიოსანის სახელის თქვენის სკრედიტო დაწესებულებისა და მისდამი ნდობისა. ჩვენ გვემუქრებიან და გვაშინებენ სასამართლოთი, სასურველია აღასრულონ ეს მუქარა, მაშინ მაინც, სრულიად გარეშე პირნი, რომელთაც არავითარი კავშირი ჩვენ ბანკთან არა აქვთ, პირნი სახელმწიფო და, მაშასადამე, მიუდგომელის სამსაჯულოისა, იტყვიან თავისს უკანასკნელს სიტყვას და მითი ერთხელ და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს იმ საზიზღარს, ცილის დამწამებელს ხმებს, რომელთაც ჩვენს შესახებ ავრცელებენ ჩვენნი და თქვენნი კეთილის-მსურველნი. საქმეთა მიმდინარეობა დადგება თავისს დონეზედ და აღარ იქნება ის წინწალი აზრისა, რაც, აი, მეექვსე დღეა ხელს გვიშლის ბანკის საქმეების შესახებ გარდავსდგათ თუნდ ერთი მაინც ნაბიჯი. არ არის ქვეყნად საკრედიტო დაწესებულება, რომელის საზოგადო კაცნი, რომელიც იმა დაწესებულების საქმეების განსახილველად მოწოდებულია, ასე ხანგრძლივ და უწესოდ სცილდებოდეს თავისს პირდაპირ გასარჩევ საგნებს. ვინც არის ამაში დამნაშავე, დაე მან პასუხი გასცეს თავისს საკუთარს სინდისს! (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

თავ. ივ. მაჩაბელი. ბ. თავმჯდომარე, მე უმორჩილესად გთხოვთ წინადადება მისცეთ ყველა წევრთ გამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტისას ამ საგნის შესახებ გამოსთქვან თავიანთი აზრი.

შგ. თავ. მ. ა. გრუზინსკი. თავმჯდომარემ გამგეობისამ ვრცლად და დაწვრილებით გაარჩია მინისტრის ქაღალდი და აღნიშნა მისი მნიშვნელობა და ძალა. მე არ ვიცი რამოდენად ეთანხმებით თქვენ აზრს ამ საგნის შესახებ, გამოთქმულს თ. ჭავჭავაძის მიერ, მაგრამ, მე-კი, როგორც თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და მთელი კოლეგიაც სრულებით ვუყრდებით ზემო აღნიშნულს განმარტებას. ამგვარად თქვენ დარწმუნდით, რომ მინისტრის ქაღალდში ერთი სიტყვაც არ არის, რომელიც ამბობდეს, რომ თქვენგან არჩეულნი, თქვენი წარმომადგენელნი იმისთანა უკანონობას სჩადიოდნენ, რის შესახებაც საზიზღარს ხმებს ავრცელებენ წევრნი ესრედ წოდებულის ოპოზიციისა.

თ. გ, ი. თარხნიშვილი. მე მგონია, ჯერ მინისტრის ქაღალდის მნიშვნელობა და ძალა უნდა შევიგნოთ; უნდა ერთხელ და სამუდამოდ გარდავწყვიტოთ, თუ როგორ და რა წესით მოვეპყრათ მინისტრის მიერ აღნიშნულ გარემოებას და შემდეგ შევუდგეთ რეფაზორის მოხსენებისა და სხვათა განსჯას, თორემ დავიბნევით.

მ. მაჩაბელი. თ. ჭავჭავაძემ ძალიან დიდხანს იბაასა, რომ აეხსნა ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა მინისტრის ქაღალდისა; მაგრამ მე მგონია ახსნის მაგივრად იმან უფრო დაბნელა ეს საგანი. ყველა მინისტრის მიერ აღნიშნული ჩვენის წესდების დარღვევა თ. ჭავჭავაძეს უსაფუძვლო ჭორნია და ამასთან იმასაც ბრძანებს, რომ რაც რეფაზორსა აქვს აღნიშნული თავის მოხსენებაში ჩვენდა სახელმძღვანელოდ ერთიც არ ჰქონდა ოპოზიციას ნაჩვენები თვის პროგრამაშიო. მე უარს არა ვყოფ მას, რომ თ. ჭავჭავაძეკარგი და მეცნიერ-მეტყველი ორატორია და რომ მე ძალიან ხშირად ვიჩაგრებოდი საორატორო ასპარეზზე, მაგრამ მას მაინც ვერ ვიწამებ, რომ ამ საგნების გარდასაწყვეტად რეჩები ან საკმარისი იყოს, ან გამოსადეგი. გარდა ამისა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გამგეობის წევრს უფრო ადვილად შეუძლიან ამ ქაღალდების შესახებ თავისუფლად გამოსთქვას ესა, თუ ის აზრი, დასკვნა, რადგანაც მინისტრისა და რეფაზორის ქაღალდები ხელად აქვს და გაცნობილნი არიან; ჩვენ-კი არაფერი არ ვიცით. ამისთვის, ჩემის აზრით, არ იქნება ურიგო აღვირჩიოთ კომისია 20—30 კაცისაგან და მათ მივანდოთ ამ საგნის გამოკვლევა და განსჯა და შემდეგ ჩვენ გამოვსთქვათ მათ შესახებ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა.

სხდომა შეწყდა სალამოს რვა საათამდის.

გრ. აბაშიძე.

უცხოეთი

ინგლისი. 26 აპრილს პარლამენტში სამხრეთი აფრიკის საქმეების შესახებ ასტყდა კამათობა. სერ ვილიამ ჰარკორტმა, ლიბერალთა ოპოზიციის მეთაურმა ამის გამო შემდეგი სიტყვა სთქვა: სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პარლამენტი შეეხო სამხრეთი აფრიკის საქმეებს და ტარანსვაალის შემოხვეევებს. ახალ შენთა მინისტრმა განაცხადა მაშინ, მიუცილებელიაო საქმის გამოძიება, რომ შევიტყოთ რა მონაწილეობა მიუღია სამხრეთი აფრიკის Chartered Company-ს ტრანსვაალის საქმეებშიო. ამ საქმის გამორკვევისათვის-კი არა კმარა მარტო ჯემსონის ინგლისში გასამართლება, არამედ საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ შედეგი რეფორმისტების განსამართლებისა პრეტორიაში. ჩემბერლენმა ამას დასძინა, ნამდვილის საუთებიდამ შემიძლიან დაგარწმუნოთო, რომ არც სესილ როდსმა, არც Chartered Compauy-მ, არც რეფორმის კომიტეტმა იოჰანესბურგში არა იცოდენ-რა ჯემსონის შესევის შესახებო. ოპოზიციაო, განგრძო ჰარკორტმა, დაკმაყოფილდა მთავრობის ამ სიტყვებით და სამი თვე აღარაფერი უკითხავს ამ საქმის შესახებ და თავი არ მოუწყენია მთავრობისათვისაო. მაგრამ ამის შემდეგ ახალი რამ მოხდა. პრეტორიაში სასამართლომ უკვე განასამართალა რეფორმისტები. სასამართლოში გამოქვეყნებული იყო დეპეშები, რომლებიდამაც სჩანს, რომ ჯემსონის შესევა იოჰანესბურგში და კაპისკოლონიაში ყოფილა მომზადებული. ამ შესევის საქმის მოწყობაში ისეთი პირები ერიენ, რომელნიც Chartered Company-ს მეთაურები არიან, ჯემსონი-კი მხოლოდ მათი პლანის მორჩილი აღმასრულებელი ყოფილა. ამ კომპანიას უფლებები მინიჭებული ჰქონდა ინგლისის მთავრობისაგან, ამიტომაც ინგლისის ერი და მთავრობა პასუხის მგებელნი არიან მისი მოქმედებისათვის. დეპეშების წაკითხვის შემდეგ ჰარკორტმა განაცხადა, საჭიროაო ვიცოდეთ რა გზას დაადგება ამ საქმეში მთავრობა და პარლამენტი, რადგან ჩვენი ქვეყანა მეტად ცუდ მდგომარეობაშიაო. მე არ მგონიაო, განაგრძო ორატორმა, რომ როდსის მოქმედების აზრი მარტო პირადი ანგარება იყოს, მაგრამ სამფლობელოს შემენის სურვილიც გაიტაცებს ხოლმე კაცს და კანონიერის გზისათვის გვერდს აახვევინებსო. ამ საქმეში კი, საუბედურეოდ, ოქროს სურვილიც იყო და სამფლობელოს გაფართოებისაც, და ორივე ერთად, მამონას სულით არის აღსავსეო. თუ მთავრობამ ისევ იგინივე დასტოვა chartered company-ს გამგედ, რომელნიც ბრალდებულნი არიან, მაშინ როგორღა უნდათ ტრანსვაალის მთავრობასთან კეთილი განწყობილება მოიპოვონო? ამ შემთხვევაში როგორ-და უნდა დავემდურეოთ პრეზიდენტ კრიუგერს, თუ სხვას მიმართავს თხოვნით შემწეობა აღმომჩინეო, როცა ჰხედავს, რომ მისი მფარველი ყურადღებას არ აქცევს? თუ მთავრობა chartered company-ს მოქმედებას გულგრილად მოეპყრო, მაშინ ინგლისის ახალშენები როგორის თვალით დაგვიწყებენენ ყურებას, ბრიტანიის იმპერია, პარლამენტი და მთავრობა სასირცხვო ბოძზე იქმნებიან მიკრული მთელი ქვეყნის დასანახავად. ჩვენი ამ ამგვარი მოქმედებები ნებას აძლევს სხვებს „ცბიერ ალბიონად“ გვიწოდონ. მიუცილებელიაო, ასე დაამთავრა ჰარკორტმა, გულ-ახდილად განვაცხადოთ, რომ არა გვსურს ჩვენი სამფლობელოს გაფართოვება, გაიძვერაობის, სიცრუისა და ბოროტ-მოქმედების შემწეობით, რომ ჩვენი მოქმედება ყოველთვის ისეთი იქნება, როგორიც შეჰფერის პატიოსნის ხალხს.

ჩემბერლენმა პასუხად ცოტა რამ როდსის გასამართლებელი მოიყვანა, მაგრამ ბოლოს განაცხადა, რომ საგანგებო გამომძიებელი კომისია იქმნებაო დანიშნული, რომელიც შესდგება პარლამენტისა და ლორდთა პარლამენტის წევრთაგანაო.

საფრანგეთი. „ფიგარო“ და „ეურნალ დე დება“ ურჩევენ ზომიერ რესპუბლიკელთ რადიკალებსა და სოციალისტებს მიბაძეთ და თქვენს პარტიას რაიმე ორგანიზაცია მიეცით, რომ ენერგიულად იმოქმედოთ საპარლამენტო მომავალის არჩევნების დროსაო. რადიკალთა ექვსი თვის მეფობამ აი რა გვასწავლაო. ეხლან დეკის ცენტრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ ოპორტიუნისტებს. ეს ცენტრი მხარს აძლევდა ბურჟუას სამინისტროს და ამ ცენტრის ბრალი სრულიადაც არ არის ბურჟუას სამინისტროს დამხობაო, აგრეთვე რადიკალთა მთავრობამ დაგვანახვა, რომ ოპორტიუნისტები უნდა შევერთდეთ და მედგრათ შევებრძოლოთ მათთა. ეხლანდელს პარლამენტს დიდხანს გაძლეება არ შეუძლია, რადგან არა ჰყავს მტკიცე უმეტესობა. „ფიგარო“ ურჩევს, რესპუბლიკელთა ყველა ჯგუფები შეერთდით რადიკალთა და სოციალისტთა წინააღმდეგო, „ეურნალ დე დება“-კი ამბობს ეს შეუძლებელია და უკეთესია ეხლანდელს ასოციაციებზედ დაემყარეთო. „ეური“, რომელიც ბურჟუას ორგანოდ ითვლება, ამბობს ამგვარი პოლიტიკა დიდი ხანია დაიწყეს ოპორტუნისტებმაო და „სამხედრო ჯგუფიც“ შედგენილი აქვთო. გაზეთის სიტყვით ერთი უწინდელი მინისტრი შინაგან საქმეთა დიდი ხანია, რაც რადიკალთა წინააღმდეგის სენატის ინტრიგების ხელმძღვანელი იყო (აქ კონსტანზე უნდა იყოს ლაპარაკი) და ამ ჯგუფის ხანონადარი არისო. ამ ჯგუფს აზრად აქვს შეიყიდოს და დაადუძნოს რამდენიმე ახალი გაზეთი. მათი აზრით მელინის სამინისტროს შემდეგ დაინიშნება სამინისტერო ბრძოლისა ან და ისეთი სამინისტრო, რომელიც პარლამენტს დაითხოვს. ამგვარი სამინისტროს წევრები დიდი ხანია სახეში ჰყავთო, ამბობს გაზეთი.

შაჰი ნასრ ედინი და სპარსეთის სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივი მწველებლობა.

მეორე მოძღვრება სარწმუნოებრივი, რომელსაც უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სპარსეთში, არის ეგრედ წოდებული „ბაბიზმი“. შიიტებსა სწამთ, მეორედ მოსვლა მაჰდისა, რომელიც ითვლება პირდაპირ მემკვიდრედ მაჰმადისა, სწამთ აგრეთვე, რომ ამ დროს დამკვიდრდება ქვეყანაზედ „სასუფეველი ღვთისა“. შიიტებს ამ რწმუნებასთან აქვს კავშირი „ბაბიზმის“ გაჩენას. ამ საუკუნის დამდეგში შიიტების თაყვანსაცემს ადგილში, კერბელში, შეიხმა აჰმეტაქსაიმ დაიწყო ქადაგება და წინასწარმეტყველება, რომ მაჰდი მალე მოვიდა. ამ ქადაგებამ თვი მოუყარა ყველა თანამგრძნობელს მოძღვრებისას. მათმა რიცხვმა თანდათან იმატა. მაჰდის მოწაფე სეიდ კასიმის დროს სეიდის მოწაფეთა შორის თავი იჩინა ახალგაზდა ალი მაჰმედმა, ობოლმა, ვაჭრის შვილმა. სეიდის სიკვდილის შემდეგ აღიმ 1844 წ. მაისში აღიარა თავი „ბაბად“ ანუ ბეკედ „ღვთაებრივის საიდუმლოებისა“. მისმა თანამგზავნაგებმა იცნეს იგი ღვთისგან წარმოგზავნილად და იქით აქეთ წავიდნენ, რათა ექადაგებინათ მის შესახებ. მალე მისი დაბადებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ ათასნაირი ლეგენდა გავრცელდა. ბაბმა გამოსთქვა ზეშთაგონებული თავისი აზრები რამოდენიმე თხზულებაში, რომელსაც საზოგადო სახელი ჰქვია „ბაიანი“ ე. ი. თვალსაჩინო გამოცხადება ისეთს ადგილებშიაც-კი ქადაგებათა, როგორიც მეკა და მედინაა.

ბაბის მოძღვრებას ამნაირად გვიხსნის ინგლისელი ორიენტალისტი (აღმოსავლეთის მცოდნე) ბროუნი: ის, რასაც აქვს დასაბამი, ვერ შეიგნებს სავსებით და ვერ გამოიცნობს მას, რაც დაუსაბამოა. ამიტომაც ჩნდებოდნენ ხან-და-ხან წინასწარმეტყველები, რომელნიც ღვთის ნების გადგება ჰქონდათ მინიჭებული და ამ ღვთის ნებას ატყობინებდენ და უხსნიდნენ ხალხს. ამგვარი წინასწარმეტყველი იყო: ადამი, ნოე, მოსე, დავითი, ზოროასტრი იესო და მაჰმადი, მაგრამ ყველა ამათზედ უფრო მაღლა სდგას ბაიანი. ღვთის მსახურება საზოგადო სამლოცველოში-კი არ უნდა აღსრულდებოდეს ხოლმე, არ უნდა იბატებოდეს პილიგრიმობაში და განბანაში, არც სხეულის დატანჯვასა და შეწუხებაში, არამედ უნდა იყოს დაფუძნებული ძმურ სიყვარულზედ ღირსეულად თავის დაპერაზედ, კეთილობაზედ და სიბრალულზედ. საზოგადო ღვთის მსახურება უნდა მოისპოს ისე, როგორც ქიბლა ანუ ლოცვა მეკას მხრით, სალოცველად შეიყრებიან მხოლოდ დასაფლავების დროს, რათა მიცვალებულის სული მოიხსენონ. ყოველივე რაც დაგვაშორებს სიწმინდეს, უნდა აღიკრძალოს მაგ. ხაშიში, ღვინო თამბაქო და საერო მეცნიერება. ყოველი ადამიანი უნდა შრომობდეს, მათხოვრობა სასტიკად აღკრძალულია,—ეს შეხედულება სრულიად ეწინააღმდეგება ადამოსავლეთის ხალხის აზრს ამის შესახებ. ქველ-მოქმედება უნდა მოწესრიგდეს და ხელმძღვანელობდეს „სიმართლის სახელით“. მონობა უნდა მოისპოს და აგრეთვე მრავალი ცოლის ყოლა უნდა აღიკრძალოს (მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაშია ნება დართული ორის ცოლის ყოლა). ცოლისა და ქმრის გაყრა დიდად გაძნელებულია, თუმცა მაჰმადიანის რჯულით-კი ადვილია გაყრა. საზოგადო ცხოვრებაში ქალები მონაწილეობას უნდა ღებულობდენ. ბაბისტებთ შორის ბევრი ქალებია, რომელნიც ენერგიულად ავრცელებდენ მათ მოძღვრებას. ყმაწვილები უნდა აღიზარდნენ სიყვარულში და არა შიშში; უნდა სიყვარულით ეკიდებოდეს კაცი მათ და ბევრს პატიებდეს. მდიდრებთ უნდა მიაჩნდეთ თავისი თავი ღარიბების ქონების დამცველად და ამიტომ, რაც გადარჩებათ უნდა დაურიგონ მათ, რომელთაც უსაჭიროესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი არა აქვთ.

თავდაპირველად ახალი მოძღვრება არ იქცევდა დიდს ყურადღებას მთავრობისას და შეწუნარებულიც იყო. მაგრამ, რადგან ამ მოძღვრების მოწაფეთა რიცხვი თანდათან მატულობდა, შიიტთა სამღვდელოებამ და სპარსეთის მთავრობამ საშიშად მიიჩნია. 1845 წელს ბაბი დაატუსაღეს და შირაზში დაამბინავეს. აქედამ შემდეგს წელში ისფაჰანში გაიქცა. ისფაჰანის გუბერნატორმა კარგად მიიღო იგი, მაგრამ ერთს წელიწადს შემდეგ გუბერნატორი მოკვდა და ბაბი ხელ-ახლად დაატუსაღეს და სამი წელი ციხეში გაატარებინეს. მისმა მოწაფეებმა გარდასწყვეტეს გამოექვეყნებინათ თავიანთი რწმუნებები, რის გამოც საპირო შეიქმნა ჯარების მოწვევა მათ დასაწყნარებლად. მაშინ ახალგაზდა შაჰმა ნასრედინმა გასცა ბრძანება ბაბის და ერთი მისი მოწაფის მოკვლისა, ამით უნდოდა დაეშინებინა ბაბის სარწმუნოების მიმდევრები. ბაბი სიკვდილით დასაჯეს 1850 წ. 9 ივნისს, თავრიზში. ეს მოძრაობა მაინც არ შესწყდა და 1852 წ. სამმა ფანატიკოსმა ბაბიდმა განიზრახა შაჰის მოკვლა. ამ განზრახვამ გამოიწვია ის, რომ ბაბიდებს საშინელი დევნა დაეწყოს. ათასობით გასწყვიტეს თეირანში და მრავალნი დაატუსაღეს და მისცეს

სხვა-და-სხვა დიდებულს სახელმწიფოისას. ამათ უნდოდათ თავისი ერთგულება და მორჩილება დამტკიცებინათ შაჰისათვის და ამ აზრით ერთი-მეორეს ეცილებოდნენ, ამა ვინ უფრო საშინელს ტანჯვას მიაყენებს ბაბიდებსაო. ქალები და ბავშვები იმნაირადვე დასტანჯეს, როგორც კაცები. უმეტესი ნაწილი გალობით ეგებებოდა სიკვდილს: „ᲦᲛᲗᲘᲡᲐᲜᲘᲗᲐᲓ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐᲕᲔ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗᲝᲜ“.

ასეთმა დევნამ ბაბიდებს შიშის ზარი დასცა დროებითად, მაგრამ მთლად-კი ვერ მოსპო იგინი. მრავალი მათგანი რუსეთის საზღვარზედ გაიქცენ და იქ დამკვიდრდნენ. სხვები და მათ შორის 19-ი წლის მირზა იაჰია, რომელსაც ჰქონდა ზედ მეტი სახელი სუბჰი—ესელ („საუკუნის დილა“) და რომელიც ვითომდა ალისაგან იყო ხელ-დასმული, გაიქცა ბაღდადში, სადაც აღიარა თავბაბად. მალე მას გამოუჩნდა მეტოი ქე ადრიანოპოლში, მისი ნათესავი, მირზა ჰუსეინ ალი, რომელსაც ეძახდნენ ბეჰა ულლაჰ ე. ი. „ღვთის სიმშვენიერე“. მან შემოიკრიბა უმეტესობა ბაბიდემისა. ოსმალეთის მთავრობის ბრძანებით ორივე დაატუსაღეს და დამწყვდიეს ნუბჰი—ესელი—კუნძულ-კიპროსზედ და ბეჰა-ულლაჰი—აკოში. სუბჰი ესელი, როგორც ამბობენ, ეხლაც ცოცხალი უნდა იყვეს. ბეჰა-ულლაჰი-კი მოკვდა მაისში 1892 წ. მან აღიარა თავის მემკვიდრედ და თავისი სარწმუნოების მეთაურად უმცროსი შვილი, მირზა მოჰამედ ალი, რომელსაც ეძახდნენ „ძლიერს შტოს“. ალმოსავლეთის ცხოვრების მცოდნენი ამბობენ, რომ თუ ხანდისხან ჩაქრება ხოლმე ამ მწვალებლობის მოძრაობა, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ იგი მოსპობილიყო და მის ამღიარებელთ იარაღი დაეყაროთ. ამათი აზრით მათ დიდი წილი ექმნებათ აღმოსავლეთის სარწმუნოებრივსა და საზოგადოებრივს განახლებაში. ერთი მგალითი იმისა, რომ ეს მწვალებლობა ძლიერია და ფანატიკოსი მიმდევრები ჰყავს, უკანასკნელი შემთხვევაც არის: შაჰის ნასრ-ედინის მოკვლა.

ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

(ორიოდე სიტყვა ბ-ნ ი. როსტომაშვილის სამწყინარო მოღვაწეობის შესახებ).

„ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ“ უკანასკნელ ნომერში მოსსენებულია, ბ-ნს ივანე როსტომაშვილს კიდევ დაუბეჭდია ორი წიგნი—„შიო თავადი“ დ. ნინოწმინდელისა და „როგორ ცხოვრობენ ჩინელები“ ი. ციხკარაშვილისა. ეჭვი არ არის, რომ ბ-ნი ივანე როსტომაშვილი, რაკი ერთხელ დაადგა გამომცემლობის გზას, თავისას გაიტანს და ბეჯითადაც გაუძღვება საქმეს. ამის თავდებია მტკიცე ხასიათი და საზოგადო მოღვაწეობის უნარი პატივცემულ პედაგოგისა. მაგრამ საჭიროა ერთს გარემოებაზედ მიექცეოთ ყურადღება როგორც ამ პედაგოგისა, ისრე საზოგადოებისა.

კერძო თაოსნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების წარმატების მიმდინარეობაში. სადაც ესეთი თაოსნობა არ მოიპოვება, იქ ცხოვრების წარმატებაც უფერული და სუსტია. თვით ბ ნ ი. როსტომაშვილი ერთი პირველთაგანი მღვაღებელია ამ მოძღვრებისა. რამდენადაც ჩვენ ვიცით და გვახსოვს, იგი კალმით და სიტყვით ამ მოძღვრების გავრცელებას და აღორძინებას ემსახურებოდა. რასაკვირველია, ადამიანის თაოსნობა, პირადი, ცალ-კერძი მოღვაწეობა საზოგადო ასპარეზზედ მიუცილებელი და უსაჭიროესია, მაგრამ ქართველ საზოგადოების მდგომარეობა ისეთია, რომ ჯერ-ჯერობით მაინც კერძო თაოსნობას გვერდით უნდა მოუდგეს შეერთებული ძალა. რას ვიზამთ, როცა ჩვენს ცხოვრების ჩარხი ისე დატრიალდა, რომ დიდხანს კიდევ კერძო კაცი, თუ სხვებიც არ დაეხმარენ, რთულსა და ძმიმე საქმეს მარტოდ-მარტო ვერ გაუძღვება ისრე, როგორც სანატრელი და სასურველია!.. მეტადრე სხვა-და-სხვა წიგნების ბეჭდვას და ამ წიგნების ხალხში გავრცელებას დიდი ყურადღება, დაფიქრება და შრომა ესაჭიროება. აქ ერთი კაცი ადვილად შეიძლება შესცდეს, თუნდა იგი ნაკადი, წინდახედული და შეგნებული ადამიანი იყვეს. ამიტომაც ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში დიაღ საჭირო და სავალდებულოა, კერძო თაოსნობას ხელი მისცეს შეერთებულმა ძალამ, ერთს კაცს დაეხმარონ და მიეშველონ სხვანიცა. მოგეხსენებათ, რომ კერძო თაოსნობა და ეგრედ წოდებული კოოპერაციას ერთი-ერთმანეთის დამატებას შეადგენენ...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბატონი ი. როსტომაშვილი კარგს ინებებდა, გამომცემლობის სარედაქციო ნაწილი კოოპერატუღად მოეწყო, სარედაქციო კომიტეტი დაეარსებინა. ტფილისში საკმაოდ მოიპოვებიან საჭირო კაცნი, რომელნიც ამ საქმეს იტვირთებენ. საზოგადოდ ინტელიგენციის გარდა, ჩვენ ბლომად გვყვანან ახალგაზზედ პედაგოგნი, რომელთაც სპეციალური სწავლა მიღებიათ და საფუძვლიანად ესმით, თუ როგორ უნდა მოეწყოს განათლების საქმე და ქართველ საზოგადოებისათვის რა უფრო საჭიროა გონების საზრდოდ. ამ პედაგოგთაგან, რომელთა შორის ცნობილნი ლიტერატორნიც მოიპოვებიან, უნდა შესდგეს სარედაქციო კომიტეტი და ეს ახალი რაზმი უნდა ვაუძღვეს იმ რთულსა და ძმიმე საქმეს, რომელიც ი. როსტომაშვილის მართლაც-და შესანიშნავმა ენერგიამ და საქმებრმა კერძო თაოსნობამ საზოგადო საასპარეზზედ გამოიყვანა. ყველა მოღვაწის და მეთაოსნის მოვალეობაა, რომ გამოიყენოს, მოახმაროს ზნეობრივი და სულიერი ძალა, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. ჩვენი პატივცემული მოღვაწეც სწორედ ესე უნდა მოიქცეს და მხოლოდ მაშინ მოიტანს იმისი შრომა უფრო ნაყოფიერს სარგებლობას.

როდესაც, რომელსმე რედაქციას, თუ სარედაქციო კომიტეტს, თავისი საქმე ხერხიანად ვერ მიჰყავს, ზოგნი ამის მიზეზად საზოგადოების გულგრილობას სთვლიან. ავიწყდებათ ერთი გარემობა: ჩვენი საზოგადოება, ამ უკანასკნელ დროს მაინც, დიდის თანაგრძნობითა და იმედით მიეგებება ხოლმე ყოველს ახალს სამწყინარო საქმეს (ახალ გაზეთის, ჟურნალის დაარსებას) და არც ფულს ზოგავს (მოიგონეთ, მაგ., ამბავი „მოამბისა“, რომელსაც პირველს წელიწადს თითქმის რვაასამდე ხელის მომწერელი ჰყავდა), მაგრამ ზურგსაც მალე შეაქცევს ხოლმე რედაქციას და მის გამოცემას, როდესაც ჰხედავს, რომ იმედი არ უმართლდება. აქ გულ-გრილობის მიზეზი თვით დაწყებულ საქმის უყარგისს მსელელობაში უნდა მოიძებნოს. ჩვენ-კი საკუთარს სიგლახეს თავზედ საზოგადოებას ვახვევთ. სამწუხაროდ, ჩვენში მეტიჩარაობა ხშირი მოვლენაა და საზოგადო საქმის სათავეში ხშირად სდგანან ისეთნი კაცნი, რომელნიც მათრახით უნდა გაიძევნენ... ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ბატონს როსტომაშვილს სიფრთხილე და გამჭრახობა ესაჭიროება, თუ-კი დაადგება იმ გზას, რომელსაც ჩვენ ვურჩევთ. თუ მართლა ეს პატივცემული მოღვაწე სარედაქციო კომიტეტს დააარსებს, მაშინ ამ კომიტეტის წევრებად უნდა დაინიშნონ საუკეთესო ახალგაზდა პედაგოგნი და ინტელიგენტნი.

რ. სოლოლაველი.

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

—

მცხეთის საკრებო წიგნთ-საცავის გამგობა გულითადს მადლობას უცხადებს ბნელინა ნინო ნაკაშიძისას, ბნელიანს სოფიო ცაგიშვილს, ბნელიანს კატო წულუკიძეს, ბ-ბ. ამეგლაშვილს, ჯაბაუშს, ძნელაშვილს და სხვ., რომელთაც მცხეთის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შეწირეს 26 მან. და 82 კაპ.

მცხეთის წიგნთ-საცავის გამგეობის წევრნი: { კნ. ს. ციციშვილი
ბ. მრველაშვილი.

30 აპრილი. 1896 წ.
ს. მცხეთა.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მაბოლოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს ოსიეს ლეკიჯას, რომელმაც უფასოდ დაურიგა ჩემდამი რწმენებულ სამრეკლო სკოლის მოწაფეებს წიგნაკები „წმ. კეტრინე“ და „შეფიგანი“.

ტფ, ფერისცვ. მონასტრის სამრეკლო სკოლის მასწავლებელი ონისიმე ჭიკაძე.

2 მაისი, 1896 წ.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲘᲡᲚᲔᲑᲐ.

—

მოგვივიდა ალექსანდრე სიმონისძე ლოლუასაგან 27 მანეთი, რომელთაგან 25 მან. შესწირა ფალ-დიდობისაგან დაზარალებულთა და 2 მან. ეფროსინე ბიბილურის ასულს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲜᲘ.

—

თავადნი ჩიჯავაძენი. იმერეთის მეფეს სოდომონის (1695—1701) გუჯარში ბეჟან სამონის ძე, ოტია და ქაიხოსრო ვახუშტის ძენი ჩიჯავაძენი თავადებად არიან წოდებულნი.

6 დეკემბერს 1850 წ. უმადლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა საკრებულო სიაში ბენიშნულნი არიან თავადნი ჩიჯავაძენი: 1) მოდგმოგრეგი ნიკოლოზ ვახუშტის ძე; 2) ქვრივი გიორგისა—მზეხა, შვილნი ამათნი: მანუჩარ (ოდიეთურთ მარიამთ), მზეხა, ნიკოლოზ, სიმონ, დიმიტრი, ოსეს, გიორგი და შვიდის-შვიდნი მათნი: დანა, სტეფანა, სალომე და ოდგა მანუჩარის ასულნი; 3) ქვრივი როსტომისა—ანასტასია, შვილი მათნი: დიმიტრი, კოსტანტინ და ედუნ და 4) ქვრივი ალექსანდრე როსტომის ძისა—ეკატერინეს და შვილნი მათნი: გიორგი და სალომე.

„ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ“ ᲓᲔᲙᲔᲠᲨᲐ.

(რუსეთის დეპეშათა საააგენტოსაგან).

6 მაისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. მათი იმპერატორეობით უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული მათის უკვეგუსტოეობის ქალითურთ მოსკოვს წაბრძანდნენ.

5 მაისს დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და მისი უკვეგუსტოესი მეუღლე მოსკოვს წავიდნენ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, მოსკოვში მყოფნი ლიტერატორნი, სწავლულნი და ბეჭედვითი სიტყვის წარმომადგენელნი სადილს ჰმართავენ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებისათვის.

ჩამოვიდნენ: ჩინეთის საგანგებო საელჩო, სამხედრო მინისტრი, გარეშე საქმეთა მინისტრი, იაპონის საგანგებო საელჩო და სხვანი.

ქალაქის უმთავრესი ქუჩები ხალხით სავსეა. ქალაქის მორთვა უკვე დასარულეს. საუცხოვო სანახავია.

ᲡᲣᲐᲙᲘᲜᲘ. ხმა გავრცელდა საიდამღაც, რომ ხალიფი გარდაიცვალაო.

ᲙᲐᲞᲢᲝᲣᲜᲘ. სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის ადმასრულებელმა საბჭომ დაადგინა განაჩენი, რომ ტყვეები განდევნონ. ერთი ამთგანი, გრეი, როგორც ამბობენ, ჭკუიდამ თურმე შესცდა და ყელი გამოიჭრა.

7 მაისი.

ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲓᲘ. 6 მაისს აქ გამოიარა პეტერბურგში მიმავალმა გემმა, რომელზედაც იყვნენ ჭერცოგი კონნაუტისა თავისის მეუღლით.

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ. 6 მაისს რუსთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა. დაესწრნენ რუსეთის საელჩოს წევრები, გარეშე საქმეთა მინისტრი ჰანოტო და რამოდენიმე ოფიცერი ფორის სამხედრო ამალისა, როგორც წარმომადგენელი პრეზიდენტისა

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. იმპერატორის ბრძანებით ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული დანიშნულ იქმნა 2 გვარდიის დრაგუნის პოლკის შეფად. ამ პოლკმა უნდა ატაროს შემდეგი სახელი: „მეორე გვარდიის დრაგუნის პოლკი სრულიად რუსეთის იმპერატრიცის ალექსანდრასი“.

დიდი ჭერცოგის შეკლენბურგ შეერინის მეუღლე, იაპონის პრინცი ფუშიმა, პრინცი გონდალისა მეუღლით წავიდნენ მოსკოვში.

ნეაპოლიტანის პრინცი მოვიდა მოვიდა ბერლინს და აქედამ მოსკოვში მიდის.

ᲙᲝᲑᲣᲠᲒᲘ. ჭერცოგი თავისის მეუღლით მოსკოვში წავიდნენ.

ᲕᲘᲔᲜᲐ. დიდი ჭერცოგი მოსკოვში წავიდა.

ᲞᲝᲬᲜᲐᲜᲘ. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული მობრძანდა აქ კვირას და სალამოს 10 საათზე გაემგზავრა.

ᲐᲘᲐᲠᲘᲝ. აქ მობრძანდა მემკვიდრე ცესარევიჩი.

ᲕᲔᲜᲐ. გაზეთები ამბობენ, რომ ერც-ჰერცოგი კარლოს ლიუდვიგი უარესად შეიქმნა. დღეს შუადღეზე ერც-ჰერცოგი ეზიარა.

ᲡᲝᲤᲘᲐ. თავადი წავიდა მოსკოვში

„ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

Ს. ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ—ნიკ. კან—ს. თქვენი წერილის მეორე ნახევარი არ დაიბეჭდა; თქვენვე უნდა მიჰმართოთ კერძო წერილებით.

Ს. ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ—ვ. დ. სულთანოვს: თქვენი წერილის დაბეჭდვა შეუძლებელია.

ᲡᲐᲡᲓ. ᲨᲣᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ—კო—ა აგა—ცს: წერილი, როგორიც და რაც უნდა იყოს, მთლად უნდა გამოიგზავნოს და არა ნაწილ-ნაწილად, გამოგზავნეთ დანარჩენიც და ვნახავთ.

Ძ. ᲒᲝᲠᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ—ვ. ბუჯიაშვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

Დ. ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ—ტ კალ—ლს: დარწმუნებული ვართ, სრული ეშმარიტებაა რასაც გეწერთ, მაგრამ რასაც წოდეთხეთ, იმიზედ მეტს ვერ დავბეჭდავთ. რედაქცია ერიდება საზოგადოდ იმას, რასაც თქვენ ითხოვთ.

Ბ-ᲜᲡ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲔᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡᲚᲘ. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

Ს. ᲚᲔᲒᲐᲜᲘᲔᲠᲓᲠᲐᲕᲘᲡᲚᲘ—მ. ბ—ას: თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲘ.

თარგმანი მ. შარაძისა,

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

წიგნი 63 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხან. სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, „ᲘᲕᲘᲠᲘᲘᲡ“ რედაქციის ქვეშ.

(50—505—8)

Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Май 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲥᲠᲐᲕᲐᲫᲔ.